საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004275

„ 12 “ მარტი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭვეუნყვბო დანესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. წითელაძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „გეგმური“ (ს/ს 405038639)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
[redacted] ქ. თბილისი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისა
მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით გაუქმდა
მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადწყვეტილება (№2; 23.02.2018)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004275
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004275 ადმინისტრაციული მიწოლილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის პუნქტების პირველი ნაწილის,

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

79³ მუხლის პუნქტების მე-2 ნაწილის, 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ნარჩენების მართვის

კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 44-ე მუხლის, 45-მუხლის მე-2 ნაწ.

46-ე მუხლის პირველი ნაწ. და 47-ე მუხლის პირველი ნაწ. შესაბამისი

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოს დაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მცავლი საზედამხედველო ინსპექტორი ნელი კოსტიკიანი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსტიკიანი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2025 წლის 12 თებერვალს და 15 აპრილს, განხორციელდა, ქ. თბილისში, ქებურიას ქუჩის (ყოფილი ქვემო ალექსეევკა) მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „გეგმეტი"-ს (ს/კ 406038639) კუთვნილი ალუმინის სხმულების საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2018 წლის 23 თებერვლის №2 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 25 დეკემბრის №003955 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

2025 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. კომპანიას არ აქვს შესრულებული მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2018 წლის 23 თებერვლის №2 გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებები. კერძოდ:

1.1. კომპანია არ უზრუნველყოფს საწარმოში არსებული ალუმინის ჯართის გადამამუშავებელი სადნობი ღუმელის გამართულ ექსპლუატაციას, ალუმინის სხმულების წარმოებისას არ არის დაცული ტექნოლოგიური ციკლი და საწარმოში არ არის უზრუნველყოფილი ტექნოლოგიური დანადგარის ჰერმეტულობა. კერძოდ, განხორციელებული ინსპექტირებისას, ნედლეულის დნობის პროცესში დაფიქსირდა სადნობი ღუმელიდან მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევის ფაქტი და დადგინდა, რომ ნედლეულის დნობისას გამოყოფილი არაორგანიზებული მავნე ნივთიერებათა აირები (რომელიც გაიფრქვეოდა სადნობი ღუმელიდან), არაორგანიზებულად გაიფრქვეოდა საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში, რადგან აირმტვერდამჭერი სისტემის გამწოვი/შემწოვი დანადგარი ვერ ახდენდა ღუმელიდან გამოსული მავნე აირების ეფექტიან შეწოვას და აღნიშნული მავნე ნივთიერებათა შემცველი აირები სრულად ვერ ხვდებოდა აირმტვერდამჭერი სისტემაში. შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანია საქმიანობას ასევე ახორციელებდა აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის წესების დარღვევით;

აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღღვევათა კოდექსის 79³ მუხლის პირველი ნაწილით და 78-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

2. დადგინდა, რომ კომპანიას, არ აქვს შესრულებული დეპარტამენტის 2024 წლის 25 დეკემბრის №003955 მიწერილობის დანართი №2-ით გათვალისწინებული შემდეგი ვალდებულებები:

2.1. კომპანია არ ახდენს საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული წიდის დახურული ტიპის საწყობში განთავსებას. ინსპექტირებით დადგინდა, რომ წიდის უმეტესი ნაწილი განთავსებული იყო ღია ცის ქვეშ;

2.2. კომპანიას არ აქვს დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა, ინსპექტირებისას საწარმოს ტერიტორიაზე, დიდი ზომის ტომარაში, დაფიქსირდა სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შერევის ფაქტი, ასევე სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილ ურნაში, სადაც უნდა განთავსდეს მხოლოდ ხელთათმანები და ზეთიანი ნაჭრები, დაფიქსირდა სხვადასხვა ნარჩენების (ხელთათმანები, მუყაოს ყუთი, პოლიეთილენის პარკში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები) განთავსების ფაქტი.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. ამასთან, მეორე პუნქტით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

3. შპს „გეგმეტი"-ს არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და საქმიანობას ახორციელებს აღნიშნული გეგმის გარეშე.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

4. „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, ნარჩენების მართვის კოდექსის 24-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს ევალებათ წინა წლისთვის წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინოს ელექტრონულად, მომდევნო წლის 1 მარტამდე. თუმცა ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge), შპს „გეგმეტი"-ს მიერ არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია 2024 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;

5. შპს „გეგმეტი"-ს მიერ, დაბინძურების სტაციონარული წყაროდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას, არ არის შესრულებული ატმოსფერულ ჰაერში

გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის **ვალებულება, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.**

2025 წლის 12 თებერვალს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 12 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის პირველი ნაწილის, 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის, 76¹ მუხლის მე-2 ნაწილის, 78-ე მუხლის პირველი ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 44-ე მუხლის, 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „გეგმეტი"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 091328 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 6 მაისის №4/2559-25 დადგენილებით, შპს „გეგმეტი" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის პირველი ნაწილით, 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით, 76¹ მუხლის მე-2 ნაწილით, 78-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე მუხლით, 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2025 წლის 15 აპრილს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

6. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2018 წლის 23 თებერვლის №2 გადაწყვეტილებით **დადგენილი მე-2 პირობა,** ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებები. ასევე, არ აქვს შესრულებული დეპარტამენტის 2024 წლის 25 დეკემბრის №003955 მიწერილობის დანართი №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება. კერძოდ: ინსპექტირებით დადგინდა, რომ წიდის გარკვეული ნაწილი განთავსებული იყო ღია ცის ქვეშ, თუმცა კომპანია ვალდებული იყო საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული წიდა განათავსოს დახურული ტიპის საწყობში.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

7. **დადგინდა, რომ შპს „გეგმეტი“-ს არ გააჩნია სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და საქმიანობას ახორციელებს აღნიშნული გეგმის გარეშე, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;**

8. შპს "გეგმეტი"-ს მიერ, დაბინძურების სტაციონარული წყაროდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას, არ არის შესრულებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალებულება, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.**

2025 წლის 15 აპრილს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 28 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის პირველი ნაწილის, 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის, 76¹ მუხლის მე-3 ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „გეგმეტი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 091381 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 18 ივლისის №4/4758-25 დადგენილებით, შპს „გეგმეტი“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით, 76¹ მუხლის მე-3 ნაწილით, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 40 000 ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 18 ივლისის №4/4758-25 დადგენილება, კომპანიის მიერ, გასაჩივრდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2025 წლის 11 ნოემბრის №4/ა-1279-25 დადგენილებით, არ დააკმაყოფილა შპს „გეგმეტი“-ს საჩივარი და უცვლელად დატოვა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 18 ივლისის №4/4758-25 გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით

განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გეგმეტი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 12 მარტის №004275 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 12 მარტის №004275 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ქ. თბილისში, ქებურიას ქუჩის (ყოფილი ქვემო ალექსეევკა) მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, შპს „გეგმეტი"-ს (ს/კ 406038639) კუთვნილი ალუმინის სხმულების საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2018 წლის 23 თებერვლის №2 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 25 დეკემბრის №003955 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად **შპს „გეგმეტი" ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-113 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2018 წლის 23 თებერვლის №2 გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება. მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** საწარმოში არსებული ალუმინის ჯართის გადამამუშავებელი სადნობი ღუმელის გამართული ექსპლუატაცია, ალუმინის სხმულების წარმოებისას ტექნოლოგიური ციკლის დაცვა, რისთვისაც **მუდმივად უზრუნველყოს,** აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის წესების, მათ შორის ტექნოლოგიური დანადგარის ჰერმეტულობის დაცვა და არ დაუშვას სადნობი ღუმელიდან მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა;

2. წიდის მართვა განახორციელოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, რისთვისაც ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს** საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული წიდის დახურული ტიპის საწყობში განთავსება (2024 წლის 25 დეკემბრის №003955 მიწერილობის პირველი პუნქტი);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, **დაუყოვნებლივ აღკვეთოს** და **შემდგომ არ დაუშვას** სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შერევის ფაქტ(ებ)ი, (2024 წლის 25 დეკემბრის №003955 მიწერილობის მე-2 პუნქტი);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს კომპანიის** ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა;